

შარლ-პაულუს ბელანჟე (1805-1881), „მოგზაურობა აღმოსავლეთ ინდოეთში, ჩრდილოეთ ევროპის, კავკასიის პროვინციების, საქართველოს, სომხეთის და სპარსეთის გავლით“

Charles Bélanger. Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Hélène pendant les années 1825, 1826, 1827, 1828 et 1829, I-VIII, 8 et 3 atlas grands. Paris, 1836-1846. Historique. II, Paris, 1838

Dans une ville dont la population se compose de tant de nations différentes, et sous un gouvernement aussi tolérant que celui de la Russie, on doit s'attendre à trouver une grande diversité dans les édifices religieux. En effet, les Grecs, les catholiques, les musulmans et les Arméniens ont élevé des églises, des temples et des mosquées dont les styles sont aussi différents que les croyances des fondateurs. (30)

ქალაქში, სადაც ამდენი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს და ისეთი ტოლერანტული მმართველის ხელშია, როგორც რუსეთია, რელიგიური შენობების დიდი მრავალფეროვნებაა. მართლაც, ბერძნებს, კათოლიკეებს, მუსლიმებსა და სომხებს აშენებული აქვთ ეკლესიები, ტაძრები და მეჩეთები, რომელთა სტილი ისევე განსხვავებულია, როგორც მათი დამფუძნებლების რწმენა.

Il y a deux mosquées à Tiflis, spécialement consacrées aux musulmans des-deux sectes. Les catholique sont une église bien ornée; mais elle ne peut plus contenir le nombre des fidèles, qui s'y pressent en foule: elle est desservie par des capucins italiens, dont l'établissement en Géorgie date de 1635. (30-31)

ტფილისში არის ორი მეჩეთი, რომლებიც საგანგებოდაა აშენებული ორივე მიმდევრობის მუსლიმებისთვის. კათოლიკეებს აქვთ ერთი კარგად მორთული ეკლესია, მაგრამ ის ვეღარ იტევს იქ მისულ უამრავ მორწმუნეს: წირვას ატარებენ იტალიელი კაპუცინები, რომლებიც საქართველოში 1635 წლიდან დამკვიდრდნენ¹.

Ces bons pères, auxquels nous rendîmes visite, ne démentaient pas l'idée que je m'étais faite d'un moine. Embonpoint raisonnable, figure rubiconde, barbe grise, gai regard, tels étaient les caractères extérieurs de ces disciples de saint François. (31)

¹ კლაპროთის ცნობით, 1795 წელს, თბილისის აოხრების შემდეგ ქართველ კათოლიკეებს აღარ ჰქონდათ დედაქალაქში ეკლესია და ამიტომ რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით ჯერ ქართლ-კახეთის მეფეებს, 1801 წელს კი რუსეთის იმპერატორს, რომ მათთვის ახალი ტაძრის აგების ნება დაერთოთ. 1803 წელს ალექსანდრე I-მა კაპუცინების ორდენის თბილისის პრეფექტს, ფრანჩესკო პადუელს, ტაძრის აშენების ნება მისცა (J. Klaproth, Voyage au Mont Caucase et en Géorgie, II, 5).

ამ კეთილმა მამებმა, რომლებსაც ვესტუმრეთ, გაამართლეს ჩემი წარმოდგენა ბერის შესახებ. ზომიერი წონა, წითური სახე, ჭაღარა წვერი და მხიარული გამოხედვა – ასეთი იყო წმინდა ფრანსუას მიმდევრების გარეგნობა.

Le père Philippe, chef de la mission, était un homme de mérite. Vivant, depuis plus de vingt années, en Géorgie, il avait complètement adopté les mœurs du pays. Sa connaissance approfondie du caractère des Géorgiens et des Arméniens, a puissamment contribué à augmenter le nombre des catholiques qui fréquentent l'église de Tiflis. Il a approprié les cérémonies du culte aux usages des habitants; il s'est montré bon, charitable, et n'a jamais refusé aux malades de toutes les religions les secours qu'ils pouvaient attendre de ses connaissances médicales. Ce caractère honorable ferait oublier la position exceptionnelle dans laquelle, dit-on, les moines se sont placés à Tiflis. On prétend qu'ils n'observent pas strictement le vœu de chasteté, et qu'à cet égard ils citent une bulle du pape, déjà fort ancienne, qui permet le mariage aux missionnaires de la propagande, dans l'Orient. (31)

მისიის მეთაური მამა ფილიპე ღირსეული კაცია². ის ოც წელზე მეტია, რაც საქართველოში ცხოვრობს და შესანიშნავად შეითვისა ადგილობრივი ადათ-წესები. მან ღრმად შეისწავლა ქართველებისა და სომხების ხასიათი, რამაც ხელი შეუწყო კათოლიკეების რაოდენობის ზრდას, რომლებიც ხშირად დადიან ის ეკლესიაში. რელიგიური ცერემონიები მან მოსახლეობის წესებს მიუსადაგა, ის კეთილი, გულმოწყალეა და სხვადასხვა რელიგიის ავადმყოფების დახმარებაზე არასოდეს უთქვამს უარი. ეს პატივცემული პიროვნება იმ განსაკუთრებულ მდგომარეობასაც კი ავიწყებინებს, რომელშიც, – როგორც ამბობენ, – ტფილისში არიან ეს ბერები: ისინი მკაცრად არ იცავენ უბიწოების აღთქმას და მოჰყავდათ პაპის საკმაოდ ძველი ბულა³, რომელიც აღმოსავლეთში მყოფ მისიონერებს ქორწინების უფლებას აძლევს.

Tiflis présente encore quinze églises consacrées au culte des Arméniens. Les temples des Grecs orthodoxes sont au nombre de vingt. C'est dans la cathédrale, appelée *Sion*, le plus remarquable de tous les édifices de ce genre, que les Russes assistent aux offices de leur culte. (31-32)

ტფილისში არის თხუთმეტი სომხური და ოცი ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია. საკათედრო ტაძარში, რომელსაც სიონი ეწოდება და რომელიც ყველაზე აღსანიშნავია ეკლესიებს შორის, რუსები წირვას ესწრებიან.

Sur une petite place voisine qui forme l'entrée du pont, où la foule se presse, des Lesghis, des Tatares, des Ossettes cherchent à vendre des tapis, des fourrures, des chaussettes en laine, ou à les échanger contre des marchandises de Perse ou d'Europe. (37)

ხიდის მიმდებარე პატარა მოედანზე, სადაც ხალხი იყრის თავს, ლეკები, თათრები და ოსები თავიანთი ხალიჩების, ბეწვეულისა და მატყლის წინდების გაყიდვას ან სპარსულ და ევროპულ საქონელში მათ გაცვლას ცდილობენ.

² მისიის ხელმძღვანელი მამა ფილიპე დასახელებულია პოლკოვნიკ როტიეს თხზულებაში.

³ ბულა – რომის პაპის ბრძანებულება, წერილი ან სიგელი.

Au milieu de cette agitation de ce passage de bœufs, de chameaux chargés de marchandises arrivant de Bakou et de la Perse, ou reprenant la route de ces deux pays, vient encore se mêler la confusion occasionnée par les *droshkis* des officiers supérieurs russes qui se rendent d'un quartier à l'autre. Ils sont précédés de quelques Cosaques, fréquemment obligés, pour s'ouvrir un chemin dans la foule, de se servir du bois de leurs longues lances. Qu'on ajoute à ce tableau la variété des costumes de tous ces étrangers venus des différents points du Caucase et de l'Asie centrale, la singularité de leurs armes, dont ils ne se séparent jamais, et l'on conviendra sans peine que rien ne saurait être plus curieux que ce mélange de coutumes européennes, de faste asiatique et de bizarrerie orientale. (37)

ბაქოდან და სპარსეთიდან ჩამოსული თუ იქით მიმავალი საქონლით დატვირთული ხარებისა და აქლემების აღიაქოთს მაღალი ჩინის რუსი ოფიცრების დროშკების ერთი უბნიდან მეორეში გაუთავებელი მოძრაობა ერევა. მათთვის გზის გასათავისუფლებლად წინ ხის გრძელი შუბებით შეიარაღებული რამდენიმე კაზაკი მიდის. თუ ამ სურათს დაფუძნებთ კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან და ცენტრალური აზიიდან ჩამოსულ უცხოელთა კოსტიუმებსა და თავისებურ იარაღს, რომელსაც არასოდეს არ იხსნიან, დამეთანხმებით, რომ არაფერია უფრო საინტერესო, როგორც ევროპული წესების, აზიური ფუფუნებისა და აღმოსავლური უცნაურობის ეს ნარევი.

Bientôt après, nous atteignîmes un pont d'une seule arche, jeté sur le Kour, et destiné à joindre la ville aux faubourgs d'Isni et d'Awlabari. Il est placé sur d'énormes piles de briques, solidement réunies pour résister à l'effort du courant, très rapide en cet endroit. Du haut de ce pont, nous vîmes le Kour dérouler les méandres de ses ondes bourbeuses. Leur dépôt, qui est considérable, répand parfois une très mauvaise odeur. Çà et là, des moulins placés sur des bateaux flottaient à la surface du fleuve. (41)

მაღე მტკვარზე გადებულ ერთთადიან ხიდთან მივედით, რომელიც ქალაქს ავლაბრისა და ისნის გარეუბნებთან აკავშირებს. ხიდი აგურის მკვიდრად ნაგებ უზარმაზარ სვეტებზე დგას, რათა ამ ადგილას მეტად სწრაფ და ძლიერ დინებას გაუძლოს. ხიდიდან ჩანდა, თუ როგორ მიგორავდნენ მტკვრის მღვრიე ტალღები. ამ მდინარის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნალექი ზოგჯერ ძლიერ ცუდ სუნს გამოსცემს. აქა-იქ ნავებზე მოთავსებული წისქვილები დაცურავდნენ.

Nous traversâmes les faubourgs, habités en totalité par des Arméniens qui, en 1812, lors de la guerre entre les Russes et les Persans, se réfugièrent à Tiflis. Une werste plus loin, est un village peuplé de millénaires allemands. (42)

ჩვენ ძირითადად სომხებით დასახლებულ გარეუბანზე გადავიარეთ; მათ ს 1812 წელს, რუსეთ-სპარსეთის ომის დროს, შეაფარეს თავი. ერთი ვერსის [1,06 კმ] იქით არის სოფელი, რომელიც „ათასწლოვანი სამეფოს“ სწავლების მიმდევარი გერმანელებით⁴ არის დასახლებული.

Ces Allemands fournissent à Tiflis des légumes, du beurre, du jambon, et d'autres salaisons de porc: c'est à eux et à une autre colonie de cette nation, également située sur la gauche du Kour, à cinq werstes de Tiflis, que l'on est redevable de la culture des pommes de terre en Géorgie. (43)

ეს გერმანელები ს ბოსტნეულით, კარაქით, შაშხითა და დამარილებული ღორის ხორციით ამარაგებენ: საქართველოში კარტოფილის კულტურის შემოტანაც მათი და ტფილისიდან 5 ვერსზე [5,3 კმ], მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დასახლებული გერმანელების სხვა კოლონიების დამსახურებაა.

Ils me parurent peu satisfaits de leur sort. Quelques uns offraient un aspect extrêmement misérable: les Russes attribuaient cette pauvreté à l'indolence; les étrangers prétendaient que les charges qui leur étaient imposées excédaient leurs ressources. Néanmoins, les maisons de ces émigrés étaient bien construites, et l'on y remarquait cette propreté qui distingue les peuples de l'Allemagne. (43)

მომეჩვენა, რომ ისინი უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთი ბედით. ზოგიერთ მათგანს ძლიერ უბედური შესახედაობა ჰქონდა, რაც რუსების აზრით მათი სიზარმაცის ბრალი იყო. უცხოელები კი აცხადებდნენ, რომ დაკისრებული გადასახადი მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ემიგრანტების სახლები კარგად იყო აშენებული და შეამჩნევდი იმ სისუფთავეს, რომელიც გერმანიის ხალხებს განასხვავებთ.

Nous profitâmes de notre excursion pour rendre visite à M. Castelaz, négociant français nouvellement établi à Tiflis, et qui habitait le village des Allemands. Notre arrivée lui causa un grand plaisir; ses manières et sa conversation accusaient une éducation soignée. Pendant un long séjour en Allemagne, il avait recueilli, près des Arméniens qui viennent y faire leurs achats, des notions fort exactes sur les besoins de la Géorgie; il pensait, en conséquence, pouvoir, plus que tout autre, entreprendre avec succès le commerce dans ce pays. Les articles de luxe, dont la vente avait été négligée jusqu'à ce jour, lui ayant paru les plus avantageux, il était sur le point d'ouvrir à Tiflis un magasin de bijoux, d'orfèvrerie, de bronze et de cristaux. (43-44)

ჩვენ ვისარგებლეთ ამ ექსკურსიით, რათა ტფილისში ახლად ჩასული ფრანგი ვაჭარი, ბატონი კასტელაზი მოგვენახულებინა, რომელიც გერმანულ სოფელში ცხოვრობდა. მას ძლიერ ესიამოვნა ჩვენი მისვლა; მისი მანერებისა და საუბრის მიხედვით ჩანდა, რომ კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. გერმანიაში ხანგრძლივი ცხოვრების დროს მას იქ სავაჭროდ ჩასული

⁴ გერმანელ კოლონისტებს შორის იყვნენ ე.წ. სეპარატისტები, რომლებიც ლუთერანულ ეკლესიას განუდგნენ და აპირებდნენ შემდგომში წმინდა მიწაზე, ე.ი. პალესტინაში, გადასახლებას, რათა იქ შეხვედროდნენ მეორედ მოსვლას და „ათასწლოვან სამეფოს“.

სომხებისაგან შეეტყო ის მეტად მნიშვნელოვანი ცნობები, თუ რა საქონელი სჭირდებოდა საქართველოს; ამიტომ მან იფიქრა, რომ ამ ქვეყანაში სხვაზე უკეთესად წარმართავდა ვაჭრობას. ყველაზე წარმატებულ საქმედ კი ფუფუნების საგნებით ვაჭრობა მიიჩნია, რასაც აქამდე ყურადღებას არ აქცევდნენ და რაც მას მეტად სარფიანი ეჩვენებოდა. ის ტფილისში საოქრომჭედლო მაღაზიის გახსნას აპირებდა, სადაც ვერცხლის, ბრინჯაოსა და ბროლის საგნები გაიყიდებოდა.

Les voyageurs qui m'ont précédé ne s'accordent pas sur le chiffre de la population de Tiflis; les uns la portent à 12,000 ames, d'autres à 17 et à 20,000. M. de Gamba l'élève à 33,000 ames qu'il répartit ainsi: 2,500 familles arméniennes, tant dans la ville que dans les faubourgs; 1,500 géorgiennes; 500 tatares et persanes; ou 4 500 familles, qui ne peuvent s'estimer à moins de six personnes par famille, ce qui ferait 27,000 ames, auxquelles il faut ajouter 6,000 hommes composant la garnison, les employés de l'administration et les étrangers. (46)

ტფილისში ჩემამდე ჩამოსულ მოგზაურთა მონაცემები ამ ქალაქის მოსახლეობის შესახებ ერთმანეთს არ ემთხვევა; ზოგის აზრით ის 12,000, სხვებისა კი 17,000-დან 20,000-მდეა. ბატონი დე გამბას აზრით 33,000 სულია, რომელსაც იგი შემდეგნაირად ანაწილებს: ქალაქში და მის შემოგარენში 2,500 სომხის, 1,500 ქართველის, 500 – თათრისა და სპარსელის ოჯახი ცხოვრობს. ე.ი. სულ 4,500 ოჯახი, თითოეულში კი 6 სულზე ნაკლები არ არის, რაც 27,000 სულს გვაძლევს, ამას უნდა მივუმატოთ 6,000 კაცი გარნიზონის შემადგენლობიდან, მოხელეები და უცხოელები⁵.

Ce calcul me semble fort exagéré; je ne pense pas qu'on puisse porter la population au delà de 24,000 ames. (46)

ეს გაანგარიშება საკმაოდ გაზვიადებული მეჩვენება, არ მგონია, რომ მოსახლეობა 24,000 აღემატებოდეს.

On doit attribuer la supériorité du chiffre des familles arméniennes à leurs émigrations de la Perse et de la Turquie, que la tyrannie des Turcs et des Persans, et les insinuations secrètes des Russes, ont provoquées sans relâche. Comprenant, en effet, combien la présence d'un peuple industriel et agriculteur pouvait contribuer à la prospérité de la Géorgie, la Russie n'a rien négligé pour attirer les Arméniens. Ces derniers, ne différant des Juifs que par leurs croyances, et dominés plus qu'eux, peut-être, par l'amour du gain, se sont empressés de former des établissemens dans un pays où, seuls, pour ainsi dire, ils exploitent le commerce et l'agriculture. (46-47) ~

სომხების ოჯახების უპირატესი რაოდენობა სპარსეთიდან და თურქეთიდან საქართველოში მათ ემიგრაციას უნდა მიეწეროს, რაც სპარსელებისა და თურქების ტირანიამ და რუსების

⁵ 1825 წელს თბილისის მოსახლეობა დაახლოებით 21,000 სული იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 909).

საიდუმლო ხრიკებმა გამოიწვია. სინამდვილეში რუსეთს ესმოდა, თუ რამდენად შეუწყობდა ხელს საქართველოს აყვავებას მშრომელი და მიწათმოქმედი ხალხი და ამიტომ არაფერს არ მოერიდა მათ მისაზიდად. სომხებმა, რომლებიც ებრაელებისგან მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებოდნენ და შეიძლება მათზე მეტადაც უყვართ სარფა, იჩქარეს ამ ქვეყანაში დაფუძნება, სადაც ვაჭრობენ და მიწათმოქმედებას მისდევენ.

De toutes les émigrations, la plus importante dans ses résultats est celle du patriarche des Arméniens, échappé, en 1822, avec presque tout son clergé, du couvent *A'Eichmiadzin*, pour se soustraire aux insultes des *Kurdes*, qui profitaient des moindres occasions pour imposer et maltraiter les religieux. Le patriarche vint alors chercher en Géorgie un asile que l'intérêt politique de la Russie ne cessait de lui offrir. (47)

შედეგის მიხედვით, მთელი ემიგრაციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი პირი სომხების პატრიარქია⁶, რომელიც თითქმის ყველა სასულიერო პირთან ერთად 1822 წელს გამოიქცა ეჩმიადინის მონასტრიდან იმ ქურთების თავდასხმებისგან თავის დასაცავად, რომლებიც მცირეოდენი მიზეზითაც კი სარგებლობდნენ სასულიერო პირების გასამარცხად და დასამცირებლად. პატრიარქმა თავშესაფარი საქართველოში პოვა, რასაც მას მუდმივად სთავაზობდა რუსეთის პოლიტიკური ინტერესები.

A ces causes de dépopulation, il faut joindre l'usage établi chez les princes géorgiens de vendre leurs sujets aux marchands musulmans, et les enlèvements de femmes, encore très communs de nos jours. Des hordes entières font le métier de voler des jeunes filles. Là, le ravisseur n'attend pas que la possession de l'objet qu'il convoite le récompense des dangers auxquels il s'expose : quelques pièces d'or ont plus d'attrait pour lui; l'amour du gain est le seul qui l'anime. (48)

მოსახლეობის ამ დეპოპულაციის მიზეზებს უნდა დაემატოს როგორც თავიანთი ქვეშევრდომების მუსლიმებისთვის მიყიდვის ქართველ თავადებს შორის დამკვიდრებული ჩვეულება, ისე ქალების გატაცება, რაც დღესაც ძალზე გავრცელებულია. ახალგაზრდა გოგონების მოტაცება ურდოების ხელობად არის ქცეული. გამტაცებელს არ აინტერესებს იმ ობიექტის ფლობა, რომლის გამო საფრთხეში იგდებს თავს: მისთვის ოქროს რამდენიმე მონეტა უფრო მიმზიდველი; ის ერთადერთი, რაც მას აცოცხლებს, მოგების სიყვარულია.

⁶ ნერსესი V აშტარაკელი (1770-1857).

შვეალიე გამბას ცნობით, 1820 წელს სომეხმა არქიეპისკოპოსმა ნერსესმა ახალ ქალაქში ააშენა უზარმაზარი ქარვასლა, რომელიც ძველ ქალაქში არსებულ ორ ქარვასლაზე გაცილებით დიდი იყო. სპარსელების ყველა ქარავანი არწრუნის დიდ ქარვასლაში ჩერდებოდა. ამ დიდი და ლამაზი შენობიდან, რომელიც მდინარის მხარეს დორიული კოლონადებით იყო დამშვენებული, იგი 60,000 ფრანკს იღებდა: შეთანხმების თანახმად, ამ ქარვასლაში დაბინავების საფასურად ყოველი ვაჭარი მხოლოდ თავისი საქონლის გაყიდვიდან მიღებული თანხის ერთ პროცენტს იხდიდა (Jacques-François Gamba, Voyage dans la Russie méridionale, I-II, 1826, II, 157).

Les relations que nous eûmes avec plusieurs personnages intéressans, pendant notre séjour à Tiflis, firent une agréable diversion à nos études sérieuses. — Le Beyler-bey de Tauris, Feth-Ali-Khân, dont le comte Yermoloff nous avait entretenus, fut un des premiers que nous vîmes. (94)

ის ურთიერთობები, რომლებიც ტფილისში ყოფნის დროს გვექონდა რამდენიმე საინტერესო პიროვნებასთან, ჩვენი სერიოზული კვლევებისგან სასიამოვნო განტვირთვა იყო. ერთ-ერთი პირველი, ვინც ვნახეთ, გრაფი ერმოლოვის მიერ ნახსენები თავრიზის ბეგლარბეგი⁷, ფათჰ-ალი ხანი⁸, იყო.

Parmi les personnes de Tiflis qui s'empressèrent de nous offrir leurs services, nous ne devons pas oublier un médecin italien, le docteur M.... Comme tant d'autres coureurs d'aventures, il avait été en Perse chercher fortune. A force de peines, de soins, d'adresse et d'esprit d'intrigue, il était parvenu à amasser une certaine somme aux dépens des riches Persans. Mais, en regagnant la Géorgie, le malheureux fut rencontré par une troupe de Kurdes, qui le dévalisèrent et le maltraitèrent. M... nous raconta son aventure. Il essaya d'intimider les voleurs en s'armant d'une contenance arrogante, moyen qui réussit souvent dans le pays, mais qui fut cette fois sans effet. Ce ton de hauteur attira sur ses épaules une grêle de coups de bâton, dont il se consolait, disait-il, en pensant qu'il l'avait échappé belle, et que ces coquins auraient bien pu lui couper la tête. (102)

ის იმ პიროვნებებს შორის, რომლებმაც თავიანთი დახმარება შემოგვთავაზეს, არ უნდა დაგვავიწყდეს იტალიელი ექიმი M, რომელიც სხვა მრავალი ავანტიურისტის მსგავსად, ბედის საძებნელად ისიც სპარსეთში ჩავიდა. თავისი შეუპოვრობით, გარჯილობით, მოხერხებულობითა და ინტრიგებით მან მდიდარი სპარსელებისაგან გარკვეული თანხის დაგროვება მოახერხა, მაგრამ საქართველოსკენ მომავალი ეს საცოდავი ქურთების ჯგუფს გადაეყარა, რომლებმაც გაპარცვეს და სასტიკადაც მოექცნენ. მან გვიამბო თავისი თავგადასავალი. ქურდების დაშინებას ის თავისი ამპარტავნებით ეცადა – საშუალება, რომელიც ხშირად წარმატებით მოქმედებს ამ ქვეყანაში, მაგრამ იმჯერად უშედეგო აღმოჩნდა. მის ხმამაღალ ტონს ჯოხის დარტყმები მოჰყვა, მხოლოდ იმის გაფიქრებამ დაამშვიდა, რომ კარგად გადარჩა თავის მოკვეთას, რისი გაკეთებაც ნამდვილად შეეძლოთ იმ არამზადებს.

Le docteur M s'était fixé à Tiflis, où il exerçait la médecine. Sa clientèle se composait d'étrangers, de marchands, du clergé arménien et des missionnaires de la propagande. (102)

ექიმი ტფილისში დარჩა და ექიმობას მიჰყო ხელი. მისი პაციენტები იყვნენ უცხოელები, ვაჭრები, სომეხი სასულიერო პირები და პროპაგანდის მისიონერები.

⁷ ბელანჟეს შენიშვნა: „ბეგლარბეგები სპარსეთის წარჩინებული ოჯახებიდან არიან და ინიშნებიან ქალაქების ან პროვინციების მთავარი ქალაქების გუბერნატორებად“.

⁸ თეოდორ ეტიეს ცნობით, თავრიზის გუბერნატორი ფათჰ-ალი ხანი მეტად არასანდო, მაგრამ გარკვეული წონის მქონე კაცი იყო (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 250r).

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყეზიამ)